საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ს. ს.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: წარმომადგენელი ვ. ლ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.10.2021

საჩივრის რეგისტრაციის 064/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ი.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ი.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 01 ოქტომბერს საჩივრით მომართა ს. ს.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ი.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ვ. ლ.-მ მონაწილეობა მიიღო 2021 წლის 16 ნოემბერს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა დავა ს. ს.-სა და მის მეუღლე ქ. შ.-ს შორის, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა არამართლზომიერად

გადაადგილებული/დაკავებული ბავშვის ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 24 მარტს მიიღო განჩინება, რომლის მიხედვითაც ბავშვს - ვ. ს.-შ.-ს დაენიშნა სპეციალიზებული ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. არასრულწლოვნის ინტერესებს სავალდებულო წესით იცავდა ადვოკატი - ნ. ი..

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. ი. არის მიკერძოებული, არ ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და მოქმედებეს ბავშვის დედის ინტერესების სასარგებლოდ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. ი. არასრულწლოვანს სულ ორჯერ შეხვდა. პირველი შეხვედრა იყო გაცნობითი ხასიათის და ჩაიარა მშვიდ გარემოში, ხოლო 2021 წლის 09 ივლისს გამართული მეორე შეხვედრა რადიკალურად განსხვავდებოდა პირველისაგან, კერძოდ, ადვოკატის ვიზიტის შემდეგ ბავში უკმაყოფილებას გამოთქვამდა მის მიმართ განხორციელებული იძულების გამო. ს. ს.-მა ეთიკის კომისიში წარმოადგინა 2021 წლის 09 ივლისის ვიდეო ჩანაწერი, სადაც ასახულია ადვოკატის არასრულწლოვანთან შეხვედრისა და მათ შორის გამართული კომუნიკაცია. საჩივრის ავტორის პოზიციით, შეხვედრის ადგილი შეიცავდა გამაფრთხილებელ ნიშნებს და ადვოკატი ინფორმირებული იყო ადვოკატ-კლიენტის საუბრის ჩაწერის თაობაზე.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ი.-მ 2021 წლის 24 აგვისტოს ქუთაისის სასამართლო სხდომაზე უწოდა მოძალადე.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა ბავშვზე, კერძოდ, ეუბნებოდა, რომ უნდა დაბრუნებულიყო რუსეთის ფედერაციაში; იცავდა არასრულწლოვნის დედის ქ. შ.-ს პოზიციას და არწმუნებდა ვ. ს.-შ.-ს დედის უპირატესობაში; არასრულწლოვნისაგან სასურველი პასუხების მისაღებად ბავშვთან მტკიცებით, მითითებით და იძულებითი ენით საუბრობდა და ცდილობდა ბავშვის თავისუფალ ნებაზე გავლენის მოხდენას. ს. ს. წერილობით საჩივარში უთითებს, რომ ადვოკატი მიუღებელ ფრაზებს ეუბნებოდა არასრულწლოვანს, კერძოდ, 2021 წლის 09 ივლისის შეხვედრაზე ადვოკატმა ბავშვს უთხრა, რომ „დედებს გოგონები უნდათ, ამიტომ ბიჭი შვილი არ ენდომებათ“, „ყველა გოგო უნდა ცხოვრობდეს დედასთან ერთად, არა?“ და ა.შ.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 09 ივლისის შეხვედრაზე ადვოკატი არ ცდილობდა ბავშვის პოზიციის მოსმენას; მშობლების მიმართ მისი დამოკიდებულების გაგებას და უარის მიუხედავად აიძულებდა არასრულწლოვანს ქ. შ.-სათვის დაერეკა. ს. ს. განმარტავს, რომ ადვოკატი ბავშვის ნების საწინააღმდეგოდ ეხებოდა მას, რამაც გააღიზიანა არასრულწლოვანი. ს. ს.-ის განცხადებით, ადვოკატი, არასრულწლოვნის თანდასწრებით უხეშად ესაუბრებოდა, რის გამოც ბავშვმა იტირა და მიიღო სტრესი.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 12 ივლისის მოსამზადებელ სხდომაზე ადვოკატმა განზრახ მიაწოდა არასწორი ინფორმაცია სასამართლოს, კერძოდ, ადვოკატმა აღნიშნა, რომ არასრულწლოვანს არ აქვს კომუნიკაცია დედასთან, რაშიც დაადანაშაულა ს. ს., თუმცა ადვოკატს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ბავშვს არ ეზღუდებოდა დედასთან კომუნიკაცია, რის დამადასტურებლადაც არასრულწლოვანმა თვითონ აჩვენა ადვოკატ ნ. ი.-ს დედასთან განხორციელებული ზარები და სმს მიმოწერა.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 24 აგვისტოს გამართულ სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა ნ. ი.-მ გააჟღერა, რომ ვ. ს.-შ. იყო მამის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი და განაცხადა, რომ მამამ არასრულწლოვანი არამართლზომიერად წამოიყვანა რუსეთის ფედერაციიდან.

1.10 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატის მიკერძოებული განცხადებები ცხადჰყოფს, რომ მას აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიცია საქმესთან დაკავშირებით; უსაფუძვლოდ, უარყოფითადაა განწყობილი ს. ს.-ის მიმართ და დაინტერესებულია სასამართლომ გადაწყვეტილება ქსენია შიშკინას სასარგებლოდ მიიღოს.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი არ არის დამოუკიდებელი; არ მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით და არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დაცულ ქცევის სტანდარტებს.

1.12 2021 წლის 16 ნოემბერს, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა ვ. ლ.-მ კიდევ ერთხელ განმარტა ს. ს.-ის მიერ 2021 წლის 01 ოქტომბერს წერილობით საჩივარში მითითებული გარემოებები და მოითხოვა ადვოკატ ნ. ი.-ის პროფესიული ქცევა შეისწავლოს ეთიკის კომისიამ.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატმა ნ. ი.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2021 წლის 19 ოქტომბერს, სადაც განმარტა, რომ ს. ს.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. 2021 წლის 16 ნოემბერს ადვოკატი ნ. ი. დაესწრო საპროცესო კოლეგიის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი ახსნა განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, არასრულწლოვნის ინტერესებს იცავს 2021 წლის 24 მარტის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სავალდებულო წესით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2021 წლის 12 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნული იყო საქმის განხილვა. სასამართლო სხდომამდე ადვოკატი დაუკავშირდა ს. ს.-ის ადვოკატებს და შეუთანხმა არასრულწლოვანთან ვიზიტების განრიგი. ადვოკატის განცხადებით, 2021 წლის 09 ივლისის შეხვედრაზე, ს. ს.-ისა და მისი ადვოკატების თანხმობით, ტელეფონით დაუკავშირდა ბავშვის დედას. ადვოკატი განმარტავს, რომ არასრულწლოვანთან შეხვედრა მიმდინარეობდა იზოლირებულ ოთახში, მშვიდ გარემოში და ბავშვთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა ფსიქოლოგიური ზეგავლენა/ზეწოლა მამის მხრიდან, როგორც ირიბი, ისე პირდაპირი ფორმით, რაც განაცხადა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.

2.4 2021 წლის 16 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მისი მიზანი არ არის რომელიმე მშობლის ადვოკატირება და ის წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად სასამართლოზე მის მიერ გაკეთებული განცხადებები ემსახურებოდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ადვოკტმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ არ იცნობს ქ. შ.-ს და ესაუბრა მხოლოდ ერთხელ. ადვოკატი განმარტავს, რომ არც ბავშვთან საუბრისას და არც სასამართლო პროცესზე არ გამოუხატავს წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიცია რომელიმე მშობლის მიმართ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მას არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ 2021 წლის 09 ივლისის შეხვედრა იწერებოდა ტექნიკური საშუალებებით; შეხვედრის ადგილზე განთავსებული არ ყოფილა ვიდეო და აუდიო თვალთვალის მაუწყებელი გამაფრთხილებელი ნიშნები. ადვოკატის პოზიციით, ბავშვთან მისი საუბარი დაცულია კონფიდენციალობის პრინციპით; მას შეხვედრის ჩაწერაზე თანხმობა არ განუცხადებია და ს. ს.-ის მიერ წარმოდგენილი ჩანაწერი არის კანონდარღვევით მოპოვებული, რაც მხედველობაში არ უნდა მიიღოს ეთიკის კომისიამ.

2.6 ადვოკატის პოზიციით მას არ დაურღვევია ეთიკის ნორმები და მოქმედებდა მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, მის წინააღმდეგ ეთიკის კომისიაში შეტანილი საჩივარი არის უსაფუძვლო და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ი. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სიითი №, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი, ბავშვთა უფლებები.

3.2 ს. ს.-მა ადვოკატთა ეთიკის კომისიას მომართა 2021 წლის 01 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ი.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ნ. ი.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მოქმედებდა ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ, იყო მიკერძოებული და არაკეთილსინდისიერად წარმოადგენდა არასრულწლოვნის ინტერესებს.

5.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური წარმოების პროცესში დაყენებული პრეტენზიებიდან გამომდინარე ინდივიდუალურად მოწმდება საჩივრის ავტორის უფლებამოსილების საკითხი. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის თანახმად ,,დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა. ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო საჩივრის ავტორის სტატუსი, კერძოდ, ს. ს. წარმოადგენს ვ. ს.-შ.-ს მშობელს და განიხილა საჩივრის ავტორის, როგორც უფლებამოსილი განმცხადებლის, საჩივარი.

5.3 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ნ. ი.-მ არაკეთილსინდისიერად წარმოადგინა არასრულწლოვნის ინტერესები; მოქმედებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ და იმსჯელა ადვოკატ ნ. ი.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტი: ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.4 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „ბავშვის ადვოკატირება - ნიშნავს მისი ინტერესების უპირატესად მოქმედებას და შესაბამისად, მის მიერ გამოხატული ნების საუკეთესოდ წარმოჩენას მართლმსაჯულების წინაშე თუ სხვადასხვა ორგანოებთან ურთიერთობისას. ვინაიდან, ბავშვის უფლებების დაცვას განსაკუთრებული, ფრთხილი და გულისხმიერი დამოკიდებულება სჭირდება, ადვოკატები უნდა იყვნენ სპეციალიზებული ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისას, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს. სსსკ-ის მუხლი 5[1] -ის მიხედვით, არასრულწლოვანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საქმეებზე მონაწილეობის უფლება ენიჭება არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებულ ადვოკატს. შესაბამისად, განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხს წარმოადგენს სასამართლოში საქმისწარმოების დროს, საოჯახო დავისას, დაცული იყოს პროცესის მონაწილე პირების მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესი, მით უფრო, თუ საქმიდან გამომდინარე არსებობს ბავშვის წარმომადგენლობის საჭიროება ადვოკატის მიერ. გარდა, იმ მითითებისა, რომ ადვოკატი უნდა იყოს სპეციალიზებული არასრულწლოვნის უფლებების წარმომადგენლობის საკითხებში, ადვოკატის პროფესიული ეთიკის რეგულაციები არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ დათქმას. შესაბამისად, ადვოკატმა ბავშვის ინტერესების დაცვისას,(შეკითხვის მიხედვით ბავშვი სასამართლოში საქმის განხილვისას მესამე პირის სტატუსითაა ჩართული) მათ შორის სასამართლოში საქმისწარმოებისას უნდა გაითვალისწინოს ის რეგულაციები, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობას ეხება და განსაკუთრებული სიფრთხილით იმოქმედოს და შეაფასოს ყოველი კონკრეტული შემთხვევა, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო არსებობის ჭრილში, რათა დაცული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები (ეთიკის კომისიის 2021 წლის 29 აპრილის რეკომენდაცია N002/21).“

5.5 კვალიფიციურობა გულისხმობს ადვოკატის მიერ ცოდნის კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას და კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენლობას (ადოვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N122/18).

5.6 ადვოკატის ახსნა-განმარტებიდან და საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 09 სექტემბრის განჩინებით ირკვევა, რომ დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 24 მარტის განჩინებით, ვ. ს.-შ.-ს დაენიშნა სპეციალიზებული ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ამ უფლებამოსილების განხორციელება შესაბამისმა სამსახურმა მიანდო ადვოკატ ნ. ი.-ს. საქმეში არსებული მასალებიდან იკვეთება, რომ ადვოკატი არაერთხელ შეხვდა არასრულწლოვანს; შეიმუშვა მისი დაცვის სტრატეგია და როგორც ბავშვის ადვოკატი, მონაწილებდა ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში

საქმისწარმოებისას. საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა განახორციელა სხვადასხვა საპროცესო მოქმედებები, რაც აუცილებელი იყო კლიენტის ინტერესების დასაცავად. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ „ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე (ეთიკის კომისიის 2019 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე N110/19).“

5.7 საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 09 სექტემბრის განჩინება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება; გაითვალისწინა ფაქტი, რომ თვითონ არასრულწლოვანს სასამართლოში საქმის წარმოების მიმდინარეობისას არ გამოუთქვამს უკმაყოფილება ადვოკატ ნ. ი.-ის მიმართ და განმარტა, რომ საქმის მასალები არ შეიცავს ადვოკატ ნ. ი.-ის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ფაქტებს. ს. ს.-ს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას.

5.8 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ი.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევაზე:

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 2.1 მუხლი: „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.“

5.9 ადვოკატის დამოუკიდებლობა წარმოადგენს იმ უზენაეს პრინციპს, რომლის ზედმიწევნით დაცვაც განაპირობებს ნდობის, კონფიდენციალურობის, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპების დაცვას და თავიდან აარიდებს ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტს. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ, რა დროსაც „ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის ან/და კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“

5.10 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ს. ს.-ის მიერ წარმოდგენილ ვიდეო ჩანაწერის დასაშვებობაზე, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით, ადასტურებს ადვოკატის მიკერძოებულ დამოკიდებულებას და სადაც ასახულია ადვოკატ ნ. ი.-ისა და ვ. ს.-შ.-ს 2021 წლის 09 ივლისის შეხვედრა. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაცულია კონფიდენციალობის პრინციპით. პროფესიული საიდუმლოება და ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია მიიჩნევა ინსტრუმენტებად, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის განტმკიცება და კანონის უზენაესობის პრინციპის შენარჩუნება. თუ მოქალაქის უფლება კონფიდენციალურობაზე, ე.ი. მისი უფლება, იყოს დაცული იმ ინფორმაციის გამჟღავნებისგან, რომელიც მან გაუზიარა ადვოკატს, იქნება უარყოფილი, ინდივიდებს წვდომა შეეზღუდებათ არამხოლოდ დაცვის უფლებაზე, არამედ, ზოგადად, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე (CCBE RECOMMENDATIONS: On the protection of client confidentiality within the context of surveillance activities, p.12).

5.11 საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-12 და მე-14 მუხლები განსაკუთრებულ დანაწესებს შეიცავენ ვიდეოთვალთვალის განმახორციელებელი ყველა მონაცემთა დამმუშავებლისათვის, რაც გულისხმობს, რომ საცხოვრებელი შენობების, საჯარო და კერძო დაწესებულებების ვიდეოთვალთვალი დასაშვებია, მხოლოდ კონკრეტული მიზნით; მონაცემთა სუბიექტის ინფორმირებული, ნებაყოფლობითი თანხმობით. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას, მონაცემთა დამმუშავებელი უნდა ითვალისწინებდეს, რომ თანხმობა ნიშნავს „მონაცემთა სუბიექტის სურვილების თაობაზე, ნებისმიერ ნებაყოფლობით კონკრეტულ და ინფორმირებულ გამოხატულებას, რაც მთელი რიგი პროცესებისას, არის მონაცემთა კანონიერი დამუშავების სამართლებრივი საფუძველი. ნებაყოფლობით თანხმობას კანონიერი ძალა გააჩნია მხოლოდ მაშინ, თუ მონაცემთა სუბიექტს აქვს შესაძლებლობა თავად განახორციელოს არჩევანი და არ არსებობს შეცდომაში შეყვანის, დაშინების, იძულებისა ან აშკარა ნეგატიური შედეგის დადგომის შესაძლებლობა (მონაცემთა დაცვის დირექტივა, მე-2 მუხლის „ჰ“ ქვეპუნქტი). ს. ს.-ს ეთიკის კომისიისათვის არ წარუდგენია ადვოკატ ნ. ი.-ის ინფორმირებული (წერილობითი) თანხმობა, რაც დაადასტურებდა მის მიერ გამოვლენილ თავისუფალ ნებას, ადვოკატ-კლიენტის კონფიდენციალური შეხვედრის მონაცემთა დამმუშავებლის მიერ ჩაწერის შესახებ. შესაბამისად, წარმოდგენილ ჩანაწერს ეთიკის კომისია არ მიიჩნევს დასაშვებ მტკიცებულებად.

5.12 კომისიაში საქმისწარმოების დროს მოქმედებს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი უზრუნველყოფს, რომ მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა წარმოადგინონ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად შესაბამისი მტკიცებულებები. მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ახსნა-განმარტებების არსებობისას, ეთიკის კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს საქმეში არსებული ფაქტებითა და სხვა მტკიცებულებებით, რადგან სწორედ არსებული მტკიცებულებების საფუძველზეა შესაძლებელი დადასტურდეს საჩივრის ავტორის პრეტენზიის საფუძვლიანობა.

5.13 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების

ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ადვოკატ ნ. ი.ის მიმართ პრეტენზია გააჩნია ს. ს.ს, სწორედ მას ეკისრება საჩივარში მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა ნ. ი.ემ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები და ჩაიდინა საჩივარში მითითებული სადავო ქმედება.

5.14 ეთიკის კომისიამ შეისწავლა საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 09 სექტემბრის განჩინება საქმეზე N, სადაც ს. ს.-მა მოითხოვა ადვოკატ ნ. ი.-ის აცილება. სასამართლომ არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია და აცილების შესახებ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ეთიკის კომისია გაეცნო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის - ვ. ლ.-ს მიერ წარმოდგენილ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებას საქმეზე N და განმარტა, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება რაიმე სახის კავშირი ადვოკატ ნ. ი.-სა და საჩივრის ავტორის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს შორის. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას შეუქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს ადვოკატ ნ. ი.-ის მიერ ქცევის სტანდარტის დარღვევის თაობაზე და გააჩენდა ეჭვს ადვოკატის დამოუკიდებლობისადმი. შესაბამისად, არ დასტურდება ადვოკატის მიერ აპეკ-ის 2.1 მუხლით გათვალისწინებული ქცევის სტანდარტის დარღვევა.

5.15 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. ი.-ის ქმედებებში ვერ დგინდება პროფესიული ქცევის სტანდარტების სავარუდო დარღვევის ფაქტი, რის გამოც ადვოკატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.16 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №064/21 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ. ი.-ის მიმართ /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/